ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო, საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი №15

ქ. ზუგდიდი **26 ივნისი, 2023 წელი**

2023 წლის 26 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო, საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

კომისიის სხდომას ესწრებოდა 12 დეპუტატი: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, ლაშა ბეჭვაია, ბეჟან შანავა.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა 4 დეპუტატი: გიგა ფარულავა, თაზო ფაცაცია, მაია კალანდია, დარეჯან გაბედავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის 9 წევრი: ბესიკ გაბუნია, ირაკლი გოგოხია, ედიტა კოდუა, ბეჟან შანავა, ჯონი ჯიქია, ოთარ ქადარია, ბესიკ ჭეჟია, მანუჩარ ფიფია, დავით ფიფია.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა 3 დეპუტატი: მალხაზ თორია, თაზო ფაცაცია, პაატა ადამია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; ნუგზარ მალაშხია - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორის პირველი მოადგილე; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე ტრანსპორტის დარგში; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დარგში; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს მთავარი ბუღალტერი; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ადამიანის რესურსების მართვის საკითხებში მთავარი სპეციალისტი; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს უბნის უფროსი (ქალაქი); ..... ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს უბნის უფროსი (რაიონი); ..... ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს შესყიდვების განყოფილების უფროსი; .....- ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ზედამხედველობის სამსახურის უფროსი; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ნარჩენების მართვის, აღრიცხვისა და ანალიზის სამსახურის უფროსი; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს საზოგადოების ურთიერთობის სპეციალისტი; ..... - ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ზედამხედველობის ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი; საკრებულოს წევრები: ირაკლი ჯანაშია,

ირაკლი სორდია, ბელა მოსია, მერაბ ჭაჭუა, კონსტანტინე უბერი, მარიამ ახალაია, თამარ ჭიჭინაძე, სანდრო სორდია; ..... - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

სხდომას მდივნობდა: საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომა დაიწყო:15:00 საათზე;

სხდომა დამთავრდა: 17:00 საათზე;

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი სორდიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

   თანამომხსენებელი: ნუგზარ მალაშხია-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდ-დასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი.

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი სორდიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს.

მომხრე - 12 დეპუტატი, წინააღმდეგი - არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდ-დასუფთავების ცენტრი“-ს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელმა გიორგი სორდიამ აღნიშნა: მეგობრებო, მოვისმინოთ ანგარიში და შემდგომ დავსვათ კითხვები და გავაკეთოთ შეფასებები.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიიდან და 2022-2026 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებების და საკრებულოს რეკომენ-დაციების შესრულების უზრუნველყოფა.

• ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;

• ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია და შემცირება;

• ნარჩენების დაგროვებით გამოწვეული ზიანის შემცირება და რესურსების ეფექტიანად გამოყენება

2022 წელს ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ძირითადი მიზანი იყო: ,,მუნიციპალური ნარჩენების მართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, როგორც ქალაქში, ისე სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესება“.

ამ მიზნის შესრულება 2022 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანების შესრულებით:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დაგვა - დასუფთავება ხელით და დამგველი მანქანით:

2. დანაგვიანებული ტერიტორიებიდან ცელოფნების, პლასტმასის ნაკეთობების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის ადგილებში დღის განმავლობაში წარმოშობილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების აკრეფა ხელით.

3. წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, ქალაქის ქუჩებისა და სოფლების მოსახლეობის მომსახურეობა კარდაკარ შემოვლით, ,,ზარის“ პრინციპით და ოჯახებიდან ,,კომლებიდან“ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში.

4. ქალაქის ქუჩებში და მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განთავსებული კონტეინერების დაცლა სპეციალური, საწნეხი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდებით.

5. სოფლებში განთავსებული კონტეინერების დაცლა სპეციალური, საწნეხი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდებით.

6. სამრეწველო საწარმოებიდან, კომერციული და საჯარო სტრუქტურებიდან, ორგანიზაციებიდან, სავაჭრო ობიექტებიდან ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში ყოველდღიურად.

მათ შორის:

ა. სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

ბ. ზუგდიდის საჯარო სკოლებიდან.

გ. აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან.

დ. საბავშვო ბაღებიდან.

ე. კვების ობიექტები (გარდა ანაკლია - განმუხური).

ვ. კომერციული ობიექტები (გარდა ანაკლია განმუხური).

7. ყოველდღიური მომსახურების გაწევა ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზონის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული ობიექტებისათვის.

8. ყოველდღიურად, ტურისტული სეზონის პერიოდში- ქალაქში შემოსასვლელ-გასასვლელი მთავარი გზების, ტურისტული მარშუტების, მთელი წლის განმავლობაში სოფლების ტერიტორიულ ერთეულებამდე მისასვლელი გზების გაწმენდა ნარჩენებისაგან.

9. სპონტანურად წარმოშობილი სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია (2017 წლიდან მოვსპეთ სტიქიური ნაგავსაყრელები მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. 58 სტიქიური ნაგავსაყრელი იყო).

10. მოხეტიალე პირუტყვისაგან მწვანე ნარგავების დაცვა ქალაქის ტერიტორიაზე.

11. დაგვა-დასუფთავების, მოსახლეობის კარდაკარ შემოვლის, კომერციული სტრუქტურების, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფო ორგანიზაციების, სხვადასხვა სახის მომსახურების, ნარჩენების აკრეფის და სხვა ამ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების (მომსახურეობის) შედეგად მიღებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ნაგავის მასის შეგროვება, დატვირთვა გამტან სატრანსპორტო საშუალებებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე.

11. ქალაქის მორწყვა წყალმშხეფი ავტომანქანით.

12. მონიტორინგი მომხმარებელთა მიერ მოსაკრებლის გადახდაზე.

13. ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად ნარჩენების მართვაში სამართალდარღვევებზე რეაგირება.

14. გარემოსდაცვით კამპანიაში „დავასუფთაოთ მსოფლიო“, „დავასუფთაოთ საქართველო" მონაწილეობის მიღება. ბოლო შვიდი წელია ამ კამპანიაში ვიმარჯვებთ. მაგრამ ეს არა მარტო ჩვენი დამსახურებაა, ესაა დიდი მხარდაჭერის შედეგია მერიის, საკრებულოს, ცენტრალური მთავრობის. 2022 წლის მონაცემებით ჩვენ მოვიგეთ ქალაქი, სოფელი ჭაქვინჯი, მოვიგეთ ეზო - ტურავას ეზო, დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის მერია, ზუგდიდდასუფთავების სამსახური.

15. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ ინფორმაციების სისტემატიური გამოქვეყნება „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი"-ს ფეისბუკ-გვერდზე, ჟურნალ-გაზეთებში და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მჭიდრო ურთიერთობა მოსახლეობასთან და მომხმარებელთან.

ბოლო წლებში ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ გამოირჩევა სტაბილური წარმატებული საქმიანობით. ცენტრმა წარმატებით დაამთავრა 2022 წელი. წლის განმავლობაში დაგეგმილი სამუშაოები სრულდებოდა დამტკიცებული გეგმების შესაბამისად. მყარი ნარჩენების გატანის სერვისი შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 სასოფლო - ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობას და ქალაქის მეწარმე იურიდიულ და ფიზიკური პირებს, ეკონომიკურ და საჯარო სექტორს.

ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 798 ნაგავშემკრები კონტეინერი, რომელიც 2022 წლის ოქტომბრის თვიდან, გერმანული პროგრამის დაწყების შემდეგ გაიზარდა 982 ერთეულამდე და ფარავდა ქალაქის მოსახლეობისათვის მისაწოდებელი მომსახურეობის 35%-ს. ქალაქის მოსახლეობის დანარჩენ რაოდენობას (65 %) მომსახურეობა მიეწოდებოდა კარდაკარ შემოვლის (ე. წ. ,,ზარის პრინციპი“) მეთოდით; მომსახურეობით უზრუნველყოფილი იყო ქალაქის მოსახლეობის 100 %.

100 % - იანი მომსახურეობით იყო უზრუნველყოფილი ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი სამრეწველო საწარმოები, სუპერმარკეტები, სხვა სავაჭრო ობიექტები, სკოლები, საბავშვო ბაღები და საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ორგანიზაციები.

მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ნარჩენების მართვის კომპანიის მისამართით. ეს ხორციელდება გერმანიის ტექნიკური განვითარების ბანკის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტის 48 სასოფლო - ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 715 ნაგავშემკრები კონტეინერი, რომელიც გერმანული პროგრამის განხორციელების დაწყების შედეგად გაიზარდა 1049 ცალამდე და რომელიც ფარავდა სოფლის მოსახლეობისათვის მომსახურეობის მიწოდების 20 % - ს, მოსახლეობის 70% - ს მომსახურეობა მიეწოდებოდა კარდაკარ შემოვლით. მომსახურეობით უზრუნველყოფილი სოფლების მოსახლეობის 90 %.

მომსახურეობით უზრუნველყოფილი იყო სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულებში მდებარე სამრეწველო საწარმოები, სავაჭრო ობიექტები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საბიუჯეტო ორგანიზაციები და სამედიცინო დაწესებულებები.

- 2022 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია სულ 25,8 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიიდან 17,0 ათასი ტონა, ყოველდღიურად ქალაქიდან გაიზიდებოდა 47 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი. სასოფლო - ტერიტორიული ერთეულებიდან ნაგავსაყრელში განთავსებულია 8,8 ათასი ტონა, სოფლებიდან. ყოველდღიურად ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა 24 ტონა. სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გაიზიდებოდა 71 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ იგვეზოდა 38 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 28 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 10 ჰექტარი;

დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვეზოდა 5 – 8 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 47 ჰექტარი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 2 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულებში 45 ჰექტარი. სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 3 – 5 ჰექტარი.

- სამსახურის მიერ ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ბაღი, ფრანგული ბაღი, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და გარე პერიმეტრები, ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია, „სქეით - პარკი“ ვეტერანთა ხეივანი, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები, ზუგდიდის ცენტრალური ავტოსადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები, იქკ-ს დასახლება და ქალაქის სხვადასხვა ცენტრალური ნაწილი. მთელი წლის განმავლობაში, საჭიროებისამებრ მომსახურეობა ეწეოდა მშენებარე საკათედრო ტაძარს.

- ყოველდღიურად ხდებოდა ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული როგორც ქალაქის ისე სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მდებარე 80-ზე მეტი სასაფლაოდან;

- საანგარიშო პერიოდში, ყოველდღიურად ხორციელდებოდა 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულის ცენტრამდე მისასვლელი გზებისა და ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი ტრასების ხელით აკრეფის წესით გაწმენდა .

- სისტემატიურად სუფთავდებოდა მდინარეების ჩხოუშის, კუჩხობონის, და სინწის კალაპოტები.

- წყალმშხეფი მანქანით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, სისუფთავის დაცვის, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ყოველდღიურად ირწყვებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

- ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქალაქის მწვანე ნარგაობის დაცვა მოხეტიალე პირუტყვისაგან.

ხორციელდებოდა მეველეების ყოველდღიური მორიგეობა და პირუტყვის მოშორება ქალაქ ზუგდიდში შემოსასვლელი და გასასვლელი მთავარი გზებიდან (ტრასებიდან);

- გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ სრულდებოდა აგრეთვე დაუგეგმავი და გაუთვალისწინებელი, მაგრამ აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოები, რაზედაც იხარჯებოდა ზეგეგმიური მატერიალური რესურსები.

2022 წელს არაგეგმიურ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების ნუსხა ასეთია:

1. 11 – 13 აპრილს შესრულდა ქ. ზუგდიდში მდებარე ვეკუას ქუჩის (სადაც ადრე ნებადართული იყო ინერტული მასალების დაყრა) ინერტული მასალებისა და ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯა 4620 ლარი;

2. აპრილის თვეში სოფელ ჯუმის საანთიოს უბნიდან სანიაღვრე არხების ამოწმენდის შედეგად მიღებული ბალასტის გატანა, დაიხარჯა 179 ლარი;

3. აპრილის თვეში ცენტრის მიერ გაწმენდილი იქნა ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიწისქვეშა სათავსოები, მუშაობდა 5 მუშა, შრომის ანაზღაურების სახით დაიხარჯა 625 ლარი;

4. მაისის თვეში, სოფელ რუხის მშენებარე ბაღის ტერიტორიიდან საშეშე მასალის გატანაზე, ცენტრის სატვირთო მანქანებით შესრულდა 12 გზობა და დანახარჯმა ბენზინის სახით შეადგინა 858 ლარი;

5. 26 ივნისს დაიწყო და 5 ივლისს დამთავრდა ანაკლიის ზღვის სანაპირო ზოლის, მდინარე ენგურის შესართავიდან მშენებარე პორტის ტერიტორიამდე 1235 მეტრზე შტორმის შედეგად წარმოქმნილი ზღვის ნაყარი მასისაგან სანაპირო ზოლის გაწმენდის სამუშაოები დაქირავებული ტექნიკის გამოყენებით, გატანილი იქნა 350 ტონამდე ზღვის ნაყარი, დაიხარჯა სულ 12 720 ლარი;

6. 24 და 26 ივნისს ქ. სენაკში, წყალდიდობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გაგზავნილ მუშახელზე ხელფასის სახით გაიცა 1050 ლარი;

7. 3 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით სოფელ ახალსოფელში ჩასახლებული დევნილებისათვის წყლის მიწოდებაზე დაიხარჯა 774 ლარი;

8. სოფელ ანაკლიაში მდებარე ახალგაზრდულ ბანაკში მოსწავლეების მიღების დაწყებასთან დაკავშირებით, მისი მიმდებარე ტერიტორიების გაწმენდა წარმოქმნილი ზღვის ნაყარისაგან დაქირავებული ტექნიკის გამოყენებით, გაზიდული იქნა 370 ტონამდე ნარჩენი და დაიხარჯა 13320 ლარი;

სულ დაუგეგმავ და გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 2022 წელს დაიხარჯა 34146 ლარი;

2022 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ცენტრში დასაქმებული იყო 105 სოციალურად დაუცველი პირი, რომელთა მიერ მუშავდებოდა (ნარჩენების აკრეფა, დაგვა დასუფთავება, შეგროვება) 8 – 10 ჰექტარი ფართობი.

რაც შეეხება მიღებულ ასიგნებათა ხარჯვას, 2022 წელს „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენდა 5 864,9 ათას ლარს. ცენტრმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან საოპერაციო ხარჯების დაფინანსების სახით მიიღო 5800.0 ათასი ლარი, 64.9 ათასი ლარი საწვავის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაშთია, რომელიც დაიფარა 2023 წლის იანვარში.

საოპერაციო დანახარჯების სტრუქტურა ასეთია:

1. შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა სულ 3869,7 ათასი ლარი;

2. საქონელისა და მომსახურეობის შეძენაზე 1980,4 ათასი ლარი;

მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაა 87,9 ათასი ლარი;
- მივლინებები 0,7 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები 98,9 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარი 15,3 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის მთლიანი დანახარჯებია 1777,6 ათასი ლარი;

3. - სოციალური უზრუნველყოფა, გაცემული საავადმყოფო ბიულეტენებით 13,5 ათასი ლარი;

4. - არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 1,3 ათასი ლარი.

ტრანსპორტის მომსახურეობაზე გაწეული მთლიანი დანახარჯები, რომელიც შეადგენს 1777,6 ათას ლარს, შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- საწვავ - საცხები მასალების შეძენაზე დაიხარჯა 1486,5 ათასი ლარი;
- მიმდინარე რემონტის ხარჯებმა შეადგინა 152,6 ათასი ლარი;
- სათადარიგო ნაწილების შეძენაზე დაიხარჯა 90,8 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის დაქირავების ხარჯია 19,7 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის არაკლასიფიცირებულმა ხარჯებმა შეადგინა 28,0 ათასი ლარი

მათ შორის:

სატრანსპორტო საშუალებების რეცხვაზე 20, 0 ათასი ლარი, ტექნიკურ დათვალიერებაზე 3,1 ათასი ლარი, ჩიპებით მომსახურეობაზე 4,9 ათასი ლარი;

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ყოველწლიურად დიდ ყურადღებას უთმობს მყარი ნარჩენების მართვის გაუმჯობესების საკითხებს და მოსახლეობაზე მიწოდებული მომსახურეობის სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას, კერძოდ: თუ

2020 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 1 მოსახლეზე გაწეული დანახარჯი შეადგენდა 3,66 ლარს, მან 2021 წელს შეადგინა 4,42 ლარი, 20,8 % - ით მეტი წინა წელთან შედარებით, ხოლო 2022 წელს 4,58 ლარს, 3,7% - % - ით მეტი წინა წელთან შედარებით.

ვისაუბრებ საშტატო ერთეულებზეც. დაიწყო პერსონალის ობტიმიზაციის პროცესი, რის შედეგადაც 2023 წლის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 509 პირით, ნაცვლად 2021 წლის 545-ისა, ანუ საშტატო რიცხოვნობა, მიუხედავად ცენტრში ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების სამუშაოების ჩასატარებლად გათვალისწინებული მუშახელის მოსალოდნელი ზრდისა, საერთო ჯამში შემცირდა 36 ერთეულით. საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაციის პროცესი გრძელდება.

მოკლედ ვისაუბრებ დასაქმებულთა სამუშაოთა აღწერილობაზე.

ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრში“ ფუნქციონირებს ზედამხედველობის მობილური ჯგუფი 9 კაცის შემადგენლობით, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს მყარი ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

ამ ჯგუფის მიერ მყარი ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარ-ღვევებზე :

2017 წელს დაჯარიმდა 10 ფიზიკური და იურიდიული პირი და ჯარიმის თანხამ შეადგინა 1 930 ლარი; გაფრთხილებული იქნა 52 იურიდიული და ფიზიკური პირი;

2018 წელს დაჯარიმდა 225 ფიზიკური და იურიდიული პირი და ჯარიმის თანხამ შეადგინა 21500 ლარი; გაფრთხილებული იქნა 202 იურიდიული და ფიზიკური პირი;

2019 წელს დაჯარიმდა 197 ფიზიკური და იურიდიული პირი და ჯარიმის თანხამ შეადგინა 19 500 ლარი; გაფრთხილებული იქნა 202 იურიდიული და ფიზიკური პირი;

2020 წელს დაჯარიმდა 85 ფიზიკური და იურიდიული პირი და ჯარიმის თანხამ შეადგინა 8860 ლარი; გაფრთხილებული იქნა 103 იურიდიული და ფიზიკური პირი;

2021 წელს დაჯარიმდა 75 ფიზიკური და იურიდიული პირი და ჯარიმის თანხამ შეადგინა 7 080 ლარი; გაფრთხილებული იქნა 148 იურიდიული და ფიზიკური პირი;

2022 წელს დაჯარიმდა 146 ფიზიკური პირი და ჯარიმის თანხამ შეადგინა 13 360 ლარი, გაფრთხილებული იქნა 95 იურიდიული და ფიზიკური პირი.

სულ სამსახურის მიერ, მისი შექმნის დღიდან (2017 წლის ივნისი) დაჯარიმებულია 744 ფიზიკური და იურიდიული პირი და ჯარიმის სახით ამოღებულია 72 710 ლარი.

ოფიციალურად გაფრთხილებულია 786 იურიდიული და ფიზიკური პირი.

გასული წლის ექვსი თვის განმავლობაში ფიზიკურად არ გვქონდა საჯარიმო ქვითრები. ბოლო ერთი თვის მანძილზე 15 მოქალაქეა დაჯარიმებული. მანამდე მხოლოდ ვაფრთხილებდით. ყველა გაფრთხილებულია, კონტროლიორები ყველა ოჯახში მივიდნენ. სოფლის მკვიდრთაგან ზოგჯერ მოდიოდა პრეტენზია, თითქოს არ იცოდნენ რომ თანხა იყო გადასახდელი.

მოისმინეს: ბუღალტერი: 1103 აბონენტია, რომელსაც დავალიანება აქვს 199-დან 205 ლარამდე და არ იხდის, რაც ჯამში შეადგენს 245 000 ლარს.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: იურიდიული პირები არის 120, ვისაც ვემსახურებით და აბსოლუტურად ყველა იხდის.

ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ კონტროლიორთა ჯგუფები ასევე ახორციელებდნენ კონტროლს მიმდინარე სამუშაოების დროულად შესრულებაზე, შესრულების ხარისხზე, მუშების მიერ შინაგანაწესისა და ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვაზე, ქუჩების მიხედვით მოსახლეობის მომსახურეობის დონეზე და ხარისხზე, მონიტორინგს მოსაკრებლის ამოღებაზე. ჯგუფის მიერ

ხდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მასალების გაანალიზება და ინფორმაციის მიწოდება დირექციისათვის.

ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრში“ მოქმედებს ტრანსპორტის მუშაობაზე ელექტრონული ,,GPS“ ვერსიის დაკვირვება-კონტროლის სისტემა. ამ სისტემის მეშვეობით შესაბამისი სპეციალისტის მიერ ხორციელდება კონტროლი ნაგავმზიდების გადაადგილებაზე, დაგეგმილი მარშრუტების შესრულებაზე, საწვავის ხარჯვაზე, ავტომობილების მოძრაობის სიჩქარეზე, დაგეგმილ უბანში მისვლაზე, მათი გაჩერებების სიხშირეზე და ა. შ.

,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ 2014 წლიდან არის ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები - საქართველო'', მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა„ და ქართველ მკვლევართა კავშირი ,,ორქისი“-ს მიერ განხორციელებულ პროექტებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მყარი ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები სისტემატიურად ქვეყნდებოდა ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე. საინფორმაციო -სააგიტაციო ფლაერები რიგდებოდა, როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობაში, საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კომერციულ სტრუქტურებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში.

- 2022 წელს სოციალურ ქსელში, ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე აქტიურად შუქდებოდა ნარჩენების მართვასთან, სამუშაოების ყოველდღიურ მიმდინარეობასთან, მუშაობის შედეგებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტებზე და მასალებზე მოსახლეობის რეაგირება გამოიყენებოდა ცენტრის მუშაობის გაანალიზებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.

მერიასთან ერთად, ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით მუნიციპალიტეტში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა მასობრივი ხასიათის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: „დავასუფთაოთ მსოფლიო“, ლურჯი ნაკადულის დღე“, შავი ზღვის დაცვის დღე ,,ახალგაზრდული ღონისძიებები: ერთი დღე ზუგდიდდასუფთავების სამსახურთან ერთად და მრავალი სხვა, რომლებიც გარდა სხვადასხვა ტერიტორიების დასუფთავებისა, ატარებდნენ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას.

ძალიან საინტერესო შეხვედრები იმართება ბავშვებთან. სულ ახლახან მეორე კლასელ ბავშვებთან გვქონდა შეხვედრა მე-4 სკოლაში. მათ თეატრის წინ მდებარე სკვერი დაასუფთავეს და გამოვიდნენ ინიციატივით, ყველა სკოლამ თავის მიკრორაიონში ბაღებსა და სკვერებს მოუარონ. განათლების რესურსცენტრს მივწერეთ, მოიწონეს ეს იდეა და 1 სექტემბრიდან ეს ინიციატივა ეტაპობრივად განხორციელდება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ 2022 წელს ორგანიზებული იქნა 9 გარემოსდაცვითი ღონისძიება, კერძოდ:

1. 22 მარტს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კამპანია ,,ლურჯი ნაკადულის'' ფარგლებში, როგორც ქალაქში, ასევე 48 სასოფლო ტერიტორიულ ერთეულში, 17 სხვადასხვა ლოკაციაზე ჩატარდა მდინარეების, ღელეების, ნაკადულების და ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავების აქციები. დასუფთავდა 123 500 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი, ნაგავსაყრელში გაიზიდა 53 მ 3 - ზე მეტი მყარი ნარჩენი.

2. 15-21 აპრილს, ,, დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით, 15 აპრილიდან დაიწყო და 21 აპრილს დამთავრდა დასუფთავების ფართომასშტაბიანი აქციები. აქციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების ზუგდიდის წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებულმა ახალგაზრდების ჯგუფმა, ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეებმა, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კომერციული სტრუქტურების მუშაკებმა , ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ.

3. 21 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო სოფლების ტყაიისა და ზედაეწერის ახალგაზრდები. ასევე, 21 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით ,,ფოტო-მედია ხელოვნების", ,,ეკოტურიზმის'' კომიტეტის ინიციატივითა და დასუფთავების სამსახურის ხელშეწყობით, წითელი ჯვრის მოხალისეებთან ერთად ზუგდიდის მუზეუმის ტერიტორიაზე უნიკალური კოლხური ბზის ხეივანი დასუფთავდა. მონაწილეობა მიიღო 30 - ზე მეტმა ახალგაზრდამ.

5. 17 მაისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები - საქართველოს გამგეობის ინიციატივით, გაიმართა ღონისძიება დევიზით: ,, ერთი დღე ზუგდიდდასუფთავების სამსახურთან ერთად".

6. ასევე 17 მაისს გარემოს დაცვით ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ზუგდიდის ახალგაზრდული ორგანიზაციები და მათი წევრები. სულ დაჯილდოვდა 30 ახალგაზრდა. მათ შორის ზუგდიდის ახალგაზრდული ორგანიზაცია - ,,ქართული ოცნება „დრაიმერსი"-ის, ზუგდიდის ახალგაზრდული სათათბიროს და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ზუგდიდის ფილიალის წევრები.

ღონისძიებაში ზუგდიდის აქტივთან ერთად მონაწილეობდნენ: შვედეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ერიკ ილესი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები - საქართველოს გამგეობის თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე.

7. 5 ივნისს ,,გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან" დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში გაიმართა გარემოსდაცვითი ღონისძიებები. დასუფთავდა ზუგდიდის გულუას სახელობის პარკი, ქუჩები, სკვერები, სასაფლაოები, ტრასები, შავი ზღვის ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი.

8. 2022 წლის 21 ივნისს სკოლის მოსწავლეებმა დაასუფთავეს განმუხურის სანაპირო ზოლი;

9. 2022 წლის 16 -18 სექტემბერს კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო"- ს ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქში, ასევე 48 სასოფლო- ტერიტორიულ ერთეულში ჩატარდა დასუფთავების ფართომასშტაბიანი აქციები. აქციაში მონაწილეობდნენ გაეროს სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის ოფისის წარმომადგენლები, რომლებმაც დაასუფთავეს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი.

,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" ზედამხედველობის სამსახურის მუშაკები მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მიზნით სისტემატიურად არიგებდნენ სააგიტაციო მასალის ამსახველ ფლაერების.

მინდა კიდევ ერთი კარგი ინფორმაცია მოგაწოდოთ. ველოდები ახალ წლის მანქანას. ჩვენ სოფლებს რეგულარულად ვუწევთ დახმარებას, როცა წყლის მიწოდება სჭირდებათ.

რაც შეეხება მონაწილეობას მონაწილეობა რესპუბლიკურ კონკურსში ,,სუფთა რეგიონი". ზემოთაც აღვნიშნე, მაგრამ კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას:

ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი" 2017 წლიდან ღებულობს მონაწილეობას რესპუბლიკურ კონკურსში ,,ყველაზე სუფთა რეგიონი" და მისი 6 გზის გამარჯვებულია. კონკურსის 2021 წლის შედეგების შეჯამება მოხდა 2022 წლის მაისის თვეში, სადაც ზუგდიდისმუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა 3 ნომინაციაში და მიიღო საქართველოში ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტის, ყველაზე სუფთა სოფლის და ყველაზე ლამაზი ეზოს ტიტულები.

გარდა ამისა ცენტრმა მიიღო 6 საპატიო სიგელი, კერძოდ: - ,, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და განსაკუთრებული აქტივობისათვის" - ცენტრის ,,ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურმა" წარმატებული საქმიანობისათვის;

- ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრთან" ერთად გარემოს დაცვით ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის საპატიო სიგელები გადაეცა 3 ახალგაზრდულ ორგანიზაციას:

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ზუგდიდის ახალგაზრდულ ფილიალს, ზუგდიდის ახალგაზრდული სათათბიროს წევრებს და ზუგდიდის ახალგაზრდული ორგანიზაცია - ქართული ოცნება ,, DREAMERS" - წევრებს.

- დღეის მდგომარეობით ცენტრის მიერ რესპუბლიკურ კომისიაში წარდგენილია მასალები 2022 წლის შედეგების მიხედვით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ცენტრს გააჩნია სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 16 ერთეული საწნეხი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდის, 2 დამგველი ავტომანქანის, 13 ერთეული სხვადასხვა სპეცტექნიკის და 3240 ცალი, ნაგავშემკრები კონტეინერის სახით.

ცენტრის ძირითადი საწარმოო მატერიალური საშუალებების ჯამური ღირებულებაა 5 000.0 ათასი ლარი.

ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის" მიერ 2023 წლისათვის განსახორციელებელი ძირითადი ამოცანები განსაზღვრულია 2023 – 2027 წლების ხუთწლიანი გეგმით და გამოკვეთილია:

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება;
2. პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების განახლება;
3. მუყაოსა და ქაღალდის სეპარირება - რეციკლირების პროცესის დაწყება;
4. მოსახლეობის ნაგავშემკრები კონტეინერებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ურნებით უზრუნველყოფის

თვალსაზრისით და ურნებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი გაიზარდა 21 % - დან 40 % - დე, რამაც, როგორც ემოთ აღვნიშნეთ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი, მაგრამ ყოველივე ეს შორსაა მომსახურეობის საბოლოო სრულყოფამდე, რადგანაც, გეგმის თანახმად, დამატებით კიდევ გვჭირდება 3379 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი;

5. კონტეინერების რაოდენობის ზრდასთან ერთად საჭიროა გაიზარდოს ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობა .

ამჟამად ცენტრში რიცხული 15 ნაგავმზიდიდან 9 ამორტიზირებულია და იკვეთება ყოველწლიურად 3

ნაგავმზიდის , სულ 5 წლის განმავლობაში 11 ნაგავმზიდის საჭიროება.

გარდა ამისა საჭიროა შეძენილი იქნას:

- დამგველი ავტომანქანა 2 ერთეული;
- წყალმშხეფი ავტომანქანა 1 ერთეული;
- მოტოროლერები მცირეგაბარიტიანი ურნების დასაცლელად 4 ერთეული.
- ერთი ბულდოზერ-ექსკავატორი ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზონაში სტიქიური მოვლენების შედეგებისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით სტიქიური ნაგავსაყრელების სალიკვიდაციოდ, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დანახარჯებს დაუგეგმავ სამუშაოებზე.

ააიპ ,,ზუგდიდდაუფთავების ცენტრი", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, წარმატებით შეასრულებს 2023 წელს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

საკრებულოს რეკომენდაციებზეც მოგახსენებთ.

ააიპ ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრმა", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021 წლის შედეგების განხილვის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, შეიმუშავა ცენტრის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა (ანგარიშს თან ერთვის), რომლის შესრულება უკვე დაიწყო, კერძოდ:

1. ანგარიშგების პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ დადგენილი რეგლამენტის თანახმად, ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ყოველკვარტალური ანგარიშები წარედგინება როგორც მერიას, ისე საკრებულოს.

2. სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმების, კერძოდ 2023 – 2027 წლების ხუთწლიანი გეგმის (საქართველოში ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული ხუთწლიანი გეგმების მე-2 ციკლი) შედგენისას, გათვალისწინებული იქნა მერიის რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის გეგმებთან მუშაობის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და ინდიკატორების თანხვედრის და კავშირის აუცილებლობის შესახებ, განსაზღვრულია გეგმის პრიორიტეტები და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა იგეგმება მერიასთან შეთანხმებული, შესასრულებელი სამუშაოების მოსალოდნელ შედეგებთან მჭიდრო კავშირში.

3. შედგენილია და მერიას 2022 წელს წარედგინა ცენტრის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, სადაც განსაზღვრულია გეგმის სამიზნე ნიშნულები და ინდიკატორები.

4. დაიწყო პერსონალის ოპტიმიზაციის პროცესი, რის შედეგადაც 2023 წლის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 509 პირით, ნაცვლად 2021 წლის 545 - ისა, ანუ საშტატო რიცხოვნობა, მიუხედავად ცენტრში ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების სამუშაოების ჩასატარებლად გათვალისწინებული მუშახელის მოსალოდნელი ზრდისა, საერთო ჯამში შემცირდა 36 ერთეულით. საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაციის პროცესი გრძელდება.

5. მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმის 5 შეუსრულებელი ამოცანა გადმოტანილია და გათვალისწინებულია ახალი, 2023 -2027 წწ ხუთწლიანი გეგმის ციკლში.

2022 წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყო ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებული მუნიციპალიტეტის აღჭურვის პროგრამის განხორციელება: ნარჩენების რეციკლირების პროგრამა: გერმანიის რეკონსტრუქციისა ა განვითარების ბანკის დაფინანსებითა და ხელშეწყობით შემუშავებულია მუყაოს და ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების საპილოტე პროგრამა, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტში მოხდება ქაღალდის გამოცალკევება სხვა სახის მყარი ნარჩენებისაგან, მისი დაპრესვა-დასაწყობება და შემდგომ კი მისი რეალიზაცია. მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილია სასაწყობე მეურნეობა, 2022 წლის ოქტომბრის თვეში მიიღო 175 ცალი სპეციალური კონტეინერი და საპრესი მოწყობილობა, ველოდებით 1 ცალ ნაგავმზიდს და სხვა საჭირო მოწყობილობებს. ამ პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2023 წლის დასაწყისიდან.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობას. ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი სერიოზულ მუშაობას ეწევა მყარი ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის - ცენტრის მიერ გამოიცემა საინფორმაციო - სააგიტაციო ფლაერები, რომელიც რიგდება როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობაში, საჯარო სკოლებში , უმაღლეს სასწავლებლებში, კომერციულ სტრუქტურებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში. სოციალურ ქსელში , საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე აქტიურად შუქდება ნარჩენების მართვასთან , სამუშაოების ყოველდღიურ მიმდინარეობასთან, დადებით შედეგებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტებზე და მასალებზე მოსახლეობის რეაგირება გამოიყენება საანალიზო მასალად ცენტრის მუშაობის შეფასებისას. 2021 წელს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებული იქნა 250 - ზე მეტი პოსტი, რომელშიც აისახებოდა როგორც ცენტრის მიერ განხორციელებული სამუშაოები, ისე დანერგილი სიახლეები, აქტივობები, ინიციატივები და სააგიტაციო - შემეცნებითი მასალები.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: 2022 წელს მოსაკრებელი რამდენია შემოსული?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: 625 000 ლარი შემოვიდა 2022 წელს. წელს დაახლოებით 300 000 ლარს დავუმატებ.

ახალი ნაგავსაყრელი რომ შევა ექსპლუატაციაში ფასიანი იქნება და „ჭიშკრის გადასახადი“ გვექნება გადასახდელი. 1 ტონაზე 135 ლარი. ეს რომ გადავიხადოთ, ხუთი მილიონი ლარი მხოლოდ ამას დასჭირდება. ვფიქრობ, მთავრობა ამას დაარეგულირებს. დაახლოებით 5-დან 10 ლარამდე უნდა იქნეს. შარშან 28 ათასი ტონა შევიტანე ნაგავსაყრელში, წელს შევიტანე 25 000 სეპარირების შედეგად, ასევე, სამშენებლო ნაგავიც ჩვენს ნაგავსაყრელზე დაგვქონდა, მაგრამ მერიამ უკვე გამოყო ტერიტორია.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელია: გასულ წელს თქვენ აღნიშნეთ, რომ სამშენებლო ნარჩენები თქვენი გასატანი არ არის.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ახალი სახლი რომ შენდება, საძირკველი ხომ უნდა ამოიღონ და ნარჩენები რაც გასატანია, მერიის ზედამხედველობის სამსახური აძლევს ნებართვას და თავად გააქვთ. მეოთხე სკოლის გვერდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა რომ მიმდინარეობს, მათ ეტყობა არ ყავთ სპეციალური მანქანები, ჩვენთან დადეს ხელშეკრულება, 90 ლარი ღირს ერთი გზობა. მერიის მიერ დამტკიცებულია ტარიფი და 2 მ3-მდე ნაგვის გადატანა 10 კმ. მანძილზე ღირს 90 ლარი.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფია: ბატონო ნუგზარ, ინერტული მასალები, ვთქვათ მანქანის გამოცვლილი ზეთი, რომელსაც ნაგავში აგდებენ. თქვენ სად მიგაქვთ?

მოისმინეს: ნუგზარ მოლაშხია: ჩვენ არ მიგვაქვს. სპეციალური ორგანიზაციებია, რომლებიც პროფილაქტიკებისგან, სხვა ობიექტებისგან, სადაც გროვდება გამოყენებული ზეთი, აკუმულატორები, მიაქვთ ნარჩენები სპეცტექნიკით. გარდა ამისა არის სპეცნაგავი საავადმყოფოებში. მე არ ვემსახურები მათ.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფია: ვთქვათ, ხომ ხდება ასე, ვიღაცა, ჩააგდო ეს ზეთი ჩვეულებრივ სანაგვეში, თქვენ ნაგავსაყრელში გადაგაქვთ?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: თუ არ შევხვდით... იმ ექვსი პიკაპიდან, რომელიც ჩვენს ბალანსზეა, ერთ-ერთი მანქანა, 7 თანამშრომელთან ერთად დადის ქალაქის უბნებში, ამოწმებს და აღრიცხავს დარღვევებს, საქმის კურსში აყენებს ზედამხედველობის სამსახურს და აჯარიმებენ დამრღვევებს.

ორი მანქანა მოძრაობს, რომელიც ქალაქში მსხვილფეხა საქონლის გადაადგილებას აკონტროლებს. მართებული რეპლიკაა, ძროხები ბევრია, მაგრამ ამიტომაც შეიქმნა ეს სამსახური. როგორც მოგეხსენებათ, არის საკრებულოს დადგენილება, რომლის თანახმადაც, „დაპატიმრებული“ პირუტყვის წასაყვანად პატრონის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გარკვეული პერიოდის მანძილზე, ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ მისი ჩაბარება-რეალიზება და მიღებული თანხით დავფაროთ დაგროვილი ჯარიმები, დარჩენილი თანხა კი პატრონს გადავცეთ.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელია: გასულ წელს იყო გარკვეული შენიშვნები, საკრებულოს მიერ გაიცა რეკომენდაციები. რა შეიცვალა და რა გაითვალისწინეთ ამ რეკომენდაციათაგან.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: რა თქმა უნდა, რეკომენდაციები გავითვალისწინეთ. უკვე ჩვენ ვაჯარიმებთ დამრღვევებს. კონკრეტულ ღონისძიებებზე ანგარიშშიც ვისაუბრე. ბატონ გიგა

ფარულავასაც მივწერე წერილი „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის მიერ საკრებულოს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და ღონისძიებათა გეგმის შესახებ“. ასე რომ, მე უყურადღებოდ არავინ და არაფერი დამიტოვებია.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: 2021 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ ზუგდიდდასუფთავების ცენტრი დაფინანსდა 5 600 000 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება იყო 3 750 200 ლარი. საკუთარი შემოსავლების მოსაკრებლის ამოღებით 537 900 ლარი. 2022 წელს იურიდიული პირის ბიუჯეტი შეადგენს 5 565 000 ლარს. დაახლოებით 35 000 ლარით შემცირდა ბიუჯეტი. აქედან, შრომის ანაზღაურება 2021 წელთან შედარებით არის გაზრდილი. 2022 წელს არის 3 971 000 ლარი.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: 2022 წელს ჩვენ 10% მოვუმატეთ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: აქედან, საკუთარი შემოსავლებიდან 129 000 ლარით შემცირდა და წინათ გქონდათ 537 000 ლარი. ეს ეხება საკუთარ შემოსავლებს.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: არასწორი მონაცემებია. მოსაკრებელზე შემოსავლების სამსახურია მერიაში და იმას შეგიძლიათ მიმართოთ.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელია: რაც შეეხება წყალმშხეფ მანქანას, თქვენ გიწერიათ, რომ მხოლოდ ცენტრალურ ადგილებში დადის. თან ვნახე რამდენჯერმე და ფაქტობრივად, ვერ ასრულებს ფუნქციას.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ეს არის კუსტარულად ჩვენს მიერ აწყობილი მანქანა. წლებია ვითხოვთ ახალ მანქანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. წელს კი დადებითად გადაწყდა ეს საკითხი. ახალ მანქანას კერხერიც აქვს, ჯაგრისებიც მთელ სიგანეზე და უძლიერესი მტვერსასრუტი.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: ახალ მანქანებს რომ მივიღებთ, ხომ შეიძლება მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს არ მოემსახურონ?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ახალ მანქანებს რომ მივიღებ, ქალაქი მთლიანად უნდა გავრეცხო.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: ერთი მანქანა რა ღირს?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: დაახლოებით 350 000-დან 450 000-მდე.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: ბატონო ნუგზარ: სოფლებში, სადაც ბეტონის გზაა, იქ კატასტროფული მდგომარეობაა. გზა დაბინძურებულია. მოსახლეობა, მცირედი გამონაკლისის გარდა, ჭიშკარსაც არ აწესრიგებს. თუ არის სოფლად ბეტონისა და ასფალტის გზების სპეცტექნიკით რეცხვა გათვალისწინებული.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ქალაქში რომ მუშაობს იმ მანქანით სოფელსაც ვერ მოვემსახურები. ამ ძველი მანქანით სოფლის ტერიტორიას მოვაწესრიგებთ.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფია: თქვენი ანგარიშის შემოქმედებითი ნაწილი ნამდვილად დასაფასებელია. მუშაობს სამსახური და ძალიან სუფთაა ქალაქი. რაც ყველას გვიხარია ძალიან.

როგორც თქვენ აღნიშნეთ, რამდენიმე აბონენტია, რომელსაც დავალიანება აქვს 200 ლარზე მეტი. მე პირდაპირ ვამბობ, არ გადამიხდია, არც ვიცი როგორ გადავიხადო. რამდენი მაქვს დავალიანება არ ვიცი. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მოსახლეობამ გადაიხადოს მოსაკრებელი, ამაზეა სამუშაო, ბატონო კონსტანტინე. შარშანაც ამავეს ვამბობდით.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ქალბატონო ლია ხელმძღვანელობს ამ სამსახურს.

მოისმინეს: ბუღალტერი: 300823189 - ეს არის სოფლის მოსახლეობის კოდი. მიდიხართ ბანკში თქვენი პირადი ნომრით, ეუბნებით თქვენს საცხოვრებელ ადგილს, ვინაობას, დასუფთავების მოსაკრებელს ჩავწერთ დანიშნულებაში, 1 ლარი თვეში. თუ გნებავთ მთელი წლის გადაიხადეთ - 12 ლარი. სოფლის მცხოვრები მობილბანკით ვერ გადაიხდის, ქალაქის - კი.

კახაბერ ჩანგელია: ბატონო ნუგზარ, თქვენს ანგარიშში წერია: „სამრეწველო საწარმოებიდან, კომერციული და საჯარო სტრუქტურებიდან, ორგანიზაციებიდან, სავაჭრო ობიექტებიდან ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში ყოველდღიურად.

მათ შორის:

ა. სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

ბ. ზუგდიდის საჯარო სკოლებიდან.

გ. აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან.

დ. საბავშვო ბაღებიდან.

ე. კვების ობიექტები (გარდა ანაკლია - განმუხური).

ვ. კომერციული ობიექტები (გარდა ანაკლია განმუხური).“ - რატომ ანაკლია-განმუხურის გარდა?

კონსტანტინე კაკავა: ეს არის „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ტერიტორია.

დავით ვეკუა: დამატებით ურნების შეძენა თუ იგეგმება და რა სახის?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: იდეალური მდგომარეობისთვის ჩვენ გვჭირდება 3500 ცალი ურნა. ქუჩების მიხედვით, სოფლების მიხედვით და ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ურნები გვჭირდება. ამ რაოდენობის ურნა იმისთვისაა საჭირო, რომ ქუჩა-ქუჩა არ ჰქონდეთ მანქანებს სასიარულო და ამით იმ ე. წ. „გაზიკებს“ მოვიშორებ. ეს გვაქვს ჩვენ 2023-2027 წლების გეგმაში ასახული.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: ამ მანქანებმა ტექდათვალიერება ვერ გაიარეს და ჯარიმებს იხდით, როგორც ვიცი.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ორი თუ სამი ჯარიმა გვაქვს გადახდილი. გაზ 53-ებს 2-3 წელიწადში სხვა მანქანებით ჩავანაცვლებთ. ყოველ წელს ორ-ორი მანქანა რომ მომცენ და ურნები ზუგდიდი საქართველოში იქნება სანიმუშო.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: ბატონო ნუგზარ, ისევ მოსაკრებელს დავუბრუნდები. 8 წლის წინ ერთად შევქმენით და ერთად ვმუშაობდით ამ თემაზე. ვიცი თქვენი ზედამხედველობა არ არის, მაგრამ შეიძლება მეტი მობილიზება გაკეთდეს და შემოსავალი გაიზარდოს. არის ხარვეზები, ენერგო-პროს მესიჯი ბევრთან არ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ბილინგის თანხას ვიხდით. თუ აქტიურ სარეკლამო კამპანიას გავაკეთებთ და ამ ბილინგს რაიონსაც მივაბამთ, ანაზღაურება იქნება

და გადაფარავს იმ ხარჯს, რომელსაც ენერგო-პრო წაიღებს. ერთ რაღაცას მინდა ხაზი გავუსვა, სამსახური ძალიან მაღალ დონეზე მუშაობს, ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტს. თუ მეტი შემოსავალი შემოვა, უკეთესი იქნება თქვენთვისაც. ანალიზი შეგიძლიათ თქვენც გააკეთოთ.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: თბილისში არის ერთ სულზე 2, 5 ლარი გადასახდელი, ჩვენთან - 50 თეთრი. მეორე 50 თეთრი რომ დავუმატოთ ქალაქში, ამით ვინ გაღარიბდება?

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩვენ როცა გავაკეთეთ 50 თეთრი და საკრებულოში შევიტანეთ 2015 წელი იყო, უკვე გავიდა 8 წელი. 20 წლის მანძილზე საერთოდ არავის არაფერი გადაუხდია. ვთქვით, რომ მომავალში გავზრდიდით. დროთა განმავლობაში ხალხიც მიეჩვია გადახდას. საკრებულოში შემოსატანია საკითხი გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: საქართველოს მთავრობამ დაავალა ფინანსთა სამინისტროს, რომ მიმდინარე წელს შეიმუშაონ ქვეყნის მასშტაბით ახალი რეგულაციები. თქვენ ბრძანეთ, 20 წელიაო არავის გადაუხდიაო. არადა, იმ პერიოდში ჩვენი კონტროლიორები დადიოდნენ სალარო აპარატებით ხელში და გადასახადს ახდევინებდნენ. დღეს ზუგდიდში რომ გადახდა არის, ასეთი არსადაა თბილისის გარდა. ზუგდიდში 60%-ია გადახდა. ეს 60% 50 თეთრსაც გადაიხდის და ლარსაც. საკრებულოს გადაწყვეტილებით, დამატებით შეიძლება 500 ათასი ლარი შემოვიდეს.

რაც შეეხება ენერგო კომპანიას. არ ვიცი მერია რას ფიქრობს, მაგრამ 30% მაღალია რაც მათ მიაქვთ. რაიონის ყველა მოსახლე აღრიცხულია, ვიყიდოთ ბაზა და ჩვენ გავუშვებთ სმს-ებს. სოფლებში სავალალო მდგომარეობაა. მხოლოდ 10% იხდის სოფლის მოსახლეობის.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფია: მე ვთხოვ მერიას, შარშანაც იმავეს ვამბობდი, ბატონო კონსტანტინე, ძალიან გთხოვთ ამაზე იმუშაოთ და მოსაკრებელი იყოს სოფელშიც, ისევე როგორც ქალაქში.

კონსტანტინე კაკავა: პირველ რიგში, მადლობა ამ საკითხებით ძალიან აქტიურად დაინტერესებისთვის. უკვე ვიცით, არავის გვიკვირს, რომ ზუგდიდი არის ყველაზე სუფთა ქალაქი. ბატონი ნუგზარისა და მისი გუნდის დამსახურებაა ეს. მე ყოველ საღამოს თუ არა, ყოველ მეორე საღამოს მაინც შევდივარ დადიანების სასახლეთა ეზოში. სახლში შეიძლება აღმოაჩინოს ადამიანმა შიდა სივრცეში რაღაც ნარჩენები. დააკვირდით დადიანების სასახლეს, გესიამოვნება ადამიანს. ზედმეტ ფოთოლს ვერ ნახავ. თვის ბოლოსთვის ახალი ურნები და ახალი სკამები გვექნება. მთელი ქალაქი მოწესრიგებულია.

რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ საკითხებს. მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოსაკრებელი თავისი ოდენობით, წესით, უნდა იყოს დასუფთავების მოსაკრებელი. ბატონმა ნუგზარმა შემოგვთავაზა ძალიან კარგი გეგმა. რას აკეთებს ენერგო-პრო. ენერგო-პრო არის ჩვენი დაქირავებული კონტრაქტორი, რომელსაც ჩვენ 30%-ს ვუხდით რომ გაუგზავნოს სმს. ყველაზე უპრიანად მიმაჩნია, მაგრამ ეს არის კვლევის საგანი, რა დაუჯდება მუნიციპალიტეტს ფინანსურ ნაწილში, რომ შევისყიდოთ ბაზა. არ არის ეს მარტივი საკითხი. უნდა დაიდოს ფინანსური კვლევა - რას რა შედეგი მოყვება. შევქმნათ ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, შევისწავლოთ, ხომ არ ჯობს ამ სისტემის შესყიდვა მუნიციპალიტეტის მხრიდან, მუნიციპალიტეტმა მოახდინოს ყველა ოჯახის გააბონენტება, სააბონენტო ნომრის მინიჭება როგორც ქალაქად, ასევე - სოფლად და შემდეგ უკვე ამოქმედდება დაჯარიმების ბერკეტი, რის უფლებასაც კანონი გვაძლებს. შეიძლება დაწესდეს საურავებ. საურავი აქვს გაზს, რომ არ გადაიხდი, 5 ლარს დაგიმატებს, რომ გაზი ჩაგირთონ. საურავი აქვს წყალსაც. უმჯობესია, ის 30% ერთჯერადად გადაიხადოს მუნიციპალიტეტმა, მაგრამ

მუნიციპალური სისტემა იყოს, ჩვენს მიერ ადმინისტრირებული სისტემა იყოს. ქალაქში 13 ათასი ოჯახია, სოფლად უფრო მეტი - 18 ათასამდე. თითოეულ ოჯახს ცალ-ცალკე აბონენტის ნომერი ჰქონდეს. ჩვენ ზუსტი სტატისტიკა გვეცოდინება ვინ, სად, როგორ, რატომ იხდის ან არ იხდის. ეს იქნებოდა იდეალური გამოსავალი, მაგრამ დასათვლელია ფინანსურად რა შედეგს მოგვცემს. მახსოვს, სამართლიანი შენიშვნები იყო თქვენი მხრიდან წინა წელს, მაგრამ, მერწმუნეთ, არ ყოფილა არც მერია, არც დასუფთავების სამსახური გულხელდაკრეფილი, უბრალოდ რა რესურსიც ჩვენ გვქონდა... მე მახსოვს, თქვენ, ვინც ცხოვრობთ სასოფლო ტიპის დასახლებებში, თქვენი რეკომენდაციების შემდეგ, ოჯახ-ოჯახ მივიდა დასუფთავების სამსახური ყველა ოჯახში და დაუტოვა გადახდის ინსტრუქცია.

ედიტა კოდუა: ეს არ შველის. ჩაჭრის შიში შველის და დამერწმუნეთ გადახდის დონე მკვეთრად გაიზრდება.

კონსტანტინე კაკავა: აბსოლუტურად დისკრიმინაციული და ანტიკონსტიტუციურია, დასუფთავების დავალიანების გამო შეუწყვიტო ადამიანს ელექტრომომარაგება. თბილისშიც მოიხსნა მსგავსი პრაქტიკა.

სანდრო სორდია: გიგი უგულავას მერობის დროს გასაჩივრდა ეს და საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მანუჩარ ფიფია: ბატონო კონსტანტინე, ბატონო ნუგზარ, მექნებოდა ასეთი შემოთავაზება და ხომ არ დავფიქრდეთ. მოსაკრებლების შესაკრებად ხომ არ დავიხმარიოთ სოფლის რწმუნებულები? წელიწადში ერთხელ გადაიხადონ 12 ლარი. იციან თავიანთი მოსახლეობა რამდენი ადამიანია. კეთილი ინებონ და დაიარონ, შევაწუხოთ, ასე რომ ვთქვათ.

დავით ფიფია: 30% რომ არ ვუხადოთ ენერგო-პრო ჯორჯიას, მერიამ შეისყიდოს.

კონსტანტინე კაკავა: ეს ვთქვი მეც, მაგრამ ფინანსურად დასათვლელია.

დავით ფიფია: დათვალეთ მერე, მომავალი წლის ბიუჯეტი რომ იქნება, ჩავსვათ.

კონსტანტინე კაკავა: თუ შევქმნით სამუშაო ჯგუფს, თქვენც შემოხვალთ, ჩვენ მზად ვართ. ბატონმა ნუგზარმა ამომწურავად ისაუბრა ყველა საკითხზე. ძირითადი შენიშვნა და რეკომენდაცია რაც არის გავიგეთ, დაინერგოს სისტემა მერიის ადმინისტრირებისა და ოპერირების ქვეშ და არა სხვა დაწესებულების, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად კონტრაქტორია, მუნიციპალიტეტი გამოდის შემსყიდველი, ამაზე საჯაროდ გთავაზობთ, შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, ოფიციალურად მოგიწვევთ და ვიმუშაოთ ერთად სისტემის დანერგვაზე.

ბესო გაბუნია: ორიოდე სიტყვით ვიტყვი მოსაკრებელთან დაკავშირებით. ვხედავ ხალხი დადის სოფლად თანხის ამოსაღებად. ბატონი როინ დიდიშვილი მუშაობს ამ საკითხზე. სოფელში დასუფთავების სამსახური რომ მიდის თანხის ამოსაღებად ცოტა უხერხულია. თავად შევესწარი ამ სიტუაციას. მერიის მოსაკრებლების სამსახური ხომ არის? რას აკეთებს ამ საკითხზე? ბატონ კონსტანტინეს მინდა ეს კითხვა დავუსვა. თქვენ არც გევალებათ, მაგრამ მაინც აკეთებთ და თანხის გარკვეული ნაწილი ამოიღეთ. უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა არის.

კონსტანტინე კაკავა: ბატონო ბესო, გეთანხმებით, ნამდვილად გამოწვევაა ე. წ. თანხის ამოღება. იყო ინიციატივა, დაიაროს მერიის წარმომადგენელმა და ხელზე აიღოს თანხა. ხელზე თანხის აღებაზე ჩვენ უარს ვამბობთ. ახლა მეორე საკითხი, მერის წარმომადგენელს რა შეუძლია - მივიდეს და მხოლოდ და მხოლოდ რჩევა მისცეს, რომ მოქალაქე მოიქცეს კეთილსინდისიერად და მის მიერ აუცილებლად გადასახდელი მოსაკრებელი გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ. მერის წარმომადგენელს არა აქვს არც სამართლებრივი და არც სხვა ბერკეტი იძულებითი მექანიზმებით ამოიღოს ეს თანხა. ახლა რაც გვაქვს მანდატი, ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით.

დავით ფიფია: ერთ და იმავეზე ვსაუბრობთ, ბატონო კონსტანტინე, ერთობლივად შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებაზე იმუშავებს.

კონსტანტინე კაკავა: ბატონმა ნუგზარმა სწორი შენიშვნა მოგვცა, ამ სამუშაო ჯგუფში ჩვენ შეგვიძლია ასევე ვიმსჯელოთ მოსაკრებლის გადახედვაზე. ქალაქში გავაორმაგოთ, 50 თეთრი გავხადოთ ლარი, ან დავტოვოთ იგივე.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: გადასახადი სოფელში განსხვავებული არ უნდა იყოს, რადგან დღეს სოფელსაც ისე ვემსახურებით, როგორც - ქალაქს. 2500 ურნიდან ნახევარი სოფელშია, ნახევარი - ქალაქში. ამიტომაც სოფელმაც გადაიხადოს 50 თეთრი ერთ სულზე. დავაწესოთ ერთ სულზე 1 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ედიტა კოდუა: ამ სამსახურს მინდა მადლობა გადავუხადო. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც აღვნიშნავ, არ არსებობს პრობლემა, რომელზეც ჩვენ დაგვირეკავს და ბატონ ნუგზარს არ მოუგვარებია. მთელი გუნდი ერთსულოვნად მუშაობს და არ შეიძლება ამ გუნდისთვის საყვედურის თქმა. თუნდაც სადღესასწაულო დღეები, როგორც ჩემთვის არ იყო აღდგომა და ახალი წელი, ასევე იყო ბატონი ნუგზარისთვისაც. არ გვაკლებს ყურადღებას და რომ არა აქვს იმის მოგვარებასაც ინდომებს და ამისთვის მადლობა მინდა მთელ გუნდს გადაგიხადოთ.

რაც შეეხება გადასახადს. მე რამდენიმე სოფლის მაჟორიტარი ვარ და ვხედავ, ისეთი სისუფთავეა, მანქანები მიუვალ ადგილასაც კი მოდის ჩვენთან, მადლობის მეტი რა გვეთქმის, სუფთა მუნიციპალიტეტი რომ არის, ეს ამ გუნდის დამსახურებაა. დიდ იმედს ვიტოვებ, ჩემს შემდეგ გამომსვლელი ბატონი ვეკუა უდიდეს მადლობას გადაუხდის ამ გუნდს.

დავით ვეკუა: ბრწყინვალე გუნდი ყავთ, მაგრამ შევეხები საკითხს შრომის ანაზღაურებაზე. აუდიტის დასკვნაში წერია: „ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის ანაზღაურების კუთხით გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამობები. ცენტრში სამუშაო დროის ყოველთვიური აღრიცხვა 2021-2022 წელს ხორციელდება ტაბელის მიხედვით. აუდიტორული შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ 2022 წლის ოქტომბრის თვემდე ბრიგადირების მიერ არ ხდებოდა მათზე დაქვემდებარებული მუშების სამუშაო დროის აღრიცხვა. წარმოდგენილი ტაბელები შევსებულია არასწორად და გაურკვეველია, როგორ ხდებოდა მათი ნამუშევარი საათების დაანგარიშება. აუდიტირებისას ირკვევა, რომ სამუშაო დროის სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში ცენტრის ერთი შტატგარეშე თანამშრომელი პარალელურად დასაქმებულია სხვა იურიდიულ პირში“. დასაქმებული ყოფილა ტრანსპორტის სამსახურში. „ასევე შრომითი ხელშეკრულების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ცენტრის თანამშრომლები სამუშაო დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში შტატით გათვალისწინებულ ორ პოზიციაზე იყვნენ დასაქმებულები. აუდიტის პერიოდში დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები, როცა ცენტრის თანამშრომლების კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ხელფასის სახით ორჯერ არის დარიცხული თანხა. აქედან თანხა უკან არ მობრუნებულა“. ამაზე რას იტყვით?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: რაც შეეხება ორ ადგილას მუშაობსო. ეს არის ხელოსანი, კაჩუბეის რომ ეძახიან.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუა: გასაგებია, მაგრამ ერთი ხელშეკრულებით ორ ადგილას როგორ შეიძლება მუშაობდეს.

კონსტანტინე კაკავა: მე მგონი, თქვენ და მე ბიბლია არ გვექნება იმდენჯერ წაკითხული, რამდენჯერაც თქვენ გექნებათ აუდიტის დასკვნა. გეტყვით ამ საკითხზე. რაც შეეხება ორ მუნიციპალურ ააიპ-ში დასაქმებულ პირს. გუშინ მუნიციპალური ტრანსპორტის დირექტორმა გენადი ჯიქიამ ანგარიშისას ახსენა ეს პიროვნება - კაჩუბეი. ეს არის ადამიანი, რომელსაც სპეცტექნიკის გამართვა შეუძლია. არამუდმივი სამუშაოს შესასრულებლდა შესაბამისი მუნიციპალური ააიპ უფლებამოსილია დაუდოს კონტრაქტი.

დავით ვეკუა: ბატონო კონსტანტინე, ამას აუდიტი გიწერთ და ამბობს რომ არის კანონის დარღვევა.

კონსტანტინე კაკავა: კანონში არსად წერია რომ არის კანონის დარღვევა. აუდიტის რეკომენდაციები და შენიშვნები ჩვენია ეს, მერიის აუდიტია და აუდიტის სამსახურს აქვს დავალება, რომ მოაწესრიგოს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები. მათ შორის არის თუ არა ხარვეზები. მაგრამ რასაც ახლა თქვენ კითხულობთ, ეს არ არის დანაშაულის შემცველი ფაქტი.

დავით ვეკუა: თქვენივე აუდიტი გიწერთ და მაშინ აღიარეთ, რომ არ არის სწორი.

კონსტანტინე კაკავა: ბატონო დავით, მაშინ მე ასე გეტყვით თქვენ: მოძებნეთ ვინმე, რომ ბატონმა ნუგზარმა დღესვე შეუწყვიტოს კონტრაქტი...

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ექვსი თვეა შეწყვეტილი გვაქვს კონტრაქტი. იმ შენიშვნის შემდეგ არ მუშაობს. შენიშვნა იმიტომაა, რომ გამოსწორდეს.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუა: არ მაქვს უფლება რომ დავსვა შეკითხვა?

ედიტა კოდუა: რომც მუშაობდეს არ არის დარღვევა.

კონსტანტინე კაკავა: არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად მუშაობს.

მოისმინეს: დირექტორის მოადგილე რეალურად რა მოხდა. ჩვენ გადმოგვეცა ავტობუსი, რომელსაც შეკეთება სჭირდებოდა. ქალაქში კი არავინ იყო ამის გამკეთებელი იმ ხელოსნის გარდა. რაღაც პერიოდი დაგვჭირდა ეს ადამიანი, შეასრულა სამუშაო და კვლავ შევწყვიტეთ მასთან ხელშეკრულება.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუა: ამ ფაქტს როგორ ახსნით, ბატონო კონსტანტინე, თანხა არის ჩარიცხული, ანგარიშის ნომერიც არის მითითებული. მაშინ რატომ წერია, რომ თანხა უკან არ ჩარიცხულა.

ან როგორ ხდებოდა, რომ ბრიგადირი არ აღრიცხავდა სამუშაო დღეს ოქტომბრამდე?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: აუდიტის დასკვნას გავეცანით, ყველა შენიშვნა რაც იყო პირველივე თვესვე გასწორდა. რომ მივწერე აუდიტს ეს, არ იჩქაროო. არ მომწეროო ეს. ცოტა ხანი კონტროლის ქვეშ უნდა იყოსო. მე ყველა შენიშვნა გამოვასწორე. რაც შეეხება კაჩუბეის. ხელშეკრულებით ავიყვანე, რომ შემეკეთებინა ავტობუსი. სხვებსაც მისცეს ასეთი ტრანსპორტი, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში იყო, უკან მიაბრუნა ყველამ. მე შევაკეთე, მწყობრში ჩავაყენე და ახლა ამას გადამაყოლეთ.

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავა: ბატონო დავით, თქვენ იურისტი ბრძანდებით, არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად იქნა დაქირავებული. ამ სახის კონტრაქტის გაფორმება დანაშაული არ არის.

დავით ვეკუა: მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ ხდებოდა თუ არა თქვენს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში საწვავის ჩასხმა?

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: სენაკში სტიქიის დროს რამდენიმე მანქანაში ჩაისხა.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუა: ასევე ფიქსირდება, რომ ნაგავმზიდში ჩასხმულია 800 ლიტრი და ჟურნალში ფიქსირდება მხოლოდ სამჯერ გასვლა. გახარჯულია 800 ლიტრი საწვავი.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: ორი მანქანაა, რომელიც ინერტულ ნარჩენებზე მუშაობს. აქ ჩვენ აუდიტის ანგარიშს განვიხილავთ?

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავა: აუდიტის მოსმენაზე ჩვენ ყველა კითხვას გავეცით პასუხი.

დავით ვეკუა: საწვავზე მინდოდა, მაგრამ ვერ მივიღე პასუხი

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: აუდიტის ყველა კითხვაზე პასუხები გაგზავნილი გვაქვს და ასლს თქვენც გადმოგცემთ.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუა: „2021 წლის მაისში კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შპს „უნიკაპისგან“ შეისყიდა 500 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი ღირებულებით 44 000 ლარი. თითოეული 480 ლარის ოდენობით, რომელიც ჩაიბარა 2021 წლის 3 სექტემბერს მიღება-ჩაბარების აქტით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად შესყიდულ ობიექტზე საანგარიშო ვადა მოქმედებდა მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში, 2021 წლის 20 დეკემბერს ცენტრის საინვენტარიზაციო კომისიამ უხარისხობის მიზეზით 52 ცალი კონტეინერი ჩამოწერა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცენტრმა არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები და არ მოთხოვა მომწოდებელს წუნდებული საქონლის შეცვლა, რითაც თავიდან აიცილებდა 25 376 ლარის ზარალს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შესყიდვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმის სისუსტეზე და...“ ამაზე წერს აუდიტი თავის შეფასებას. ამაზე რა პასუხს გამცემთ?

მოისმინეს: შესყიდვების განყოფილების უფროსი: „უნიკაპისგან“ იყო კონსოლიდირებული ტენდერით შეძენილი. ზამთრის პერიოდში დაზიანდა რამდენიმე ურნა, მაგრამ დაზიანდა იმიტომ, რომ ჩაყარეს ქვები და სამშენებლო ბლოკები. სამშენებლო ნარჩენებისთვის არ არის ეს ურნები გათვლილი.

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუა: აქ საუბარია წუნდებულ ურნებზე, დეფექტი რომ ჰქონდა. მიღება-ჩაბარების დროს არ მოხდა ამის შემოწმება?

კონსტანტინე კაკავა: არ იყო წუნდებული, იყო დაზიანებული.

დავით ვეკუა: წუნდებული უწერია აუდიტს. თუ აუდიტი გვატყუებს, მაშინ მოვთხოვოთ პასუხი.

მოისმინეს: შესყიდვების განყოფილების უფროსი: წუნდებულზეც მოგახსენებთ. როცა ჩამოტვირთეს 400 ურნა, 14 ცალი იყო დაზიანებული. ერთს თავი არ ჰქონდა. ყველა დავუბრუნეთ უკან და 15 ცალი მოიტანეს ახალი.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: ფინანსურ ნაწილზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ბიუჯეტი თავდაპირველი იყო 5 300 000, დაემატა 500 000 - გიწერიათ ეს ყველაფერი იდეალურად. ხარჯვით ნაწილში გახარჯულია 5 864 000. თქვენს მიერ წარმოდგენილი ანგარიშშიც იგივე შენიშვნები მაქვს, რაც სხვა ააიპ-ების მიმართ მქონდა, იგივე მდგომარეობაში ხართ შეფასების ნაწილში. გეგმა-პროგნოზი ყველა მუხლის მიხედვით, ყველა სექტორში უნდა იყოს წარმოდგენილი, რამდენი დაიგეგმა, რა გაიხარჯა, რა დარჩა - ეს დეტალურად, ჩაშლილად უნდა იყოს წარმოდგენილი.

მეორე საკითხი, ერთი სიტყვა არ არის ნახსენები ტენდერებზე. ტენდერი რამდენიმე სახის არსებობს. მე მაინტერესებს თქვენ რომელი გამოიყენეთ, რა მოცულობის, ეკონომია გაკეთდა? ეს მაინტერესებს და პასუხების მიხედვით გადაწყვეტილებას მივიღებ.

მოისმინეს: ნუგზარ მალაშხია: დეტალურ ინფორმაციას ამის შესახებ მოგაწვდით.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს წარმოდგენილი ანგარიში შეაფასონ დადებითად ან უარყოფითად კენჭისყრით.

ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შეფასებით გამოიკვეთა 9 მომხრე: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ლაშა ბეჭვაია, ბეჟან შანავა.

2 მოწინააღმდეგე: კახაბერ ჩანგელია, დავით ვეკუა.

ოთარ ქადარია ხმის მიცემის პროცესს არ ესწრებოდა.

საფინანსო და სარევიზიო საკითხთა კომისიის შეფასებით გამოიკვეთა 8 მომხრე; 1 - მოწინააღმდეგე.

დაევალოს საკრებულოს აპარატს აღნიშნულ საკითხზე მოამზადოს დასკვნა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი სორდია

სხდომის მდივანი: .....

ხელმოწერილია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ზუგდიდი **26 ივნისი, 2023 წელი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდ-დასუფთავების ცენტრი“-ს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ფუნქციონირების მიზანია: საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიიდან და 2022 – 2026 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებების და საკრებულოს რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა; ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია და შემცირება; ნარჩენების დაგროვებით გამოწვეული ზიანის შემცირება და რესურსების ეფექტურად გამოყენება.

2. კომისიამ იხელმძღვანელა, ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N9 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების შესაბამისად და

დაასკვნა:

მომზადებულად იქნეს მიჩნეული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდ-დასუფთავების ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის საქმიანობის ანგარიში და შეფასდეს დადებითად.

ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და
ქონების მართვის საკითხთა თავმჯდომარე: გ. სორდია

ხელმოწერილია